„კამელინის“ მოქმედება სიმსივნურ დაავადებასთან მიმართებაში

2004 წლიდან პრეპარატ „კამელინის“ ავტორის, ქირურგის, ბატონი ძაგული მაღლაკელიძის პირად არქივებში დაცულ უზარმაზარ პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით, მისმა ქალიშვილმა ქეთევან მაღლაკელიძემ და სიძემ — ავთანდილ მახარობლიძემ დააფუძნეს თანამედროვე სტანდარტების მქონე (წარმოების, მარკირებისა და შეფუთვის მიმართულებით) ფარმაცევტული კომპანია „კამელინი“ და შექმნეს სამეცნიერო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კობა გურიელიძე. დაიწყო პრეპარატ „კამელინის“ უნიკალური თვისებების ახლებური კვლევა, რომელიც განხორციელდა არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ინსტიტუტებში.

კობა გურიელიძე: „კვებეკის, მონრეალის, რიო-დე-ჟანეიროს, დელის და სხვა სამეცნიერო ცენტრებში პრეპარატ „კამელინზე“ განხორციელებულმა კვლევებმა ცხადყო პრეპარატის დიდი პოტენციალი, როგორც ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიების, ვირუსებისა და სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, ასევე სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდგომმა ექსპერიმენტულმა და კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ „კამელინი“ ხასიათდება სხვა თვისებებითაც. „კამელინის“ სუბსტანციაზე წამლის სხვა ფორმების (კაფსულები, მალამო, სანთლები, სპრეი) შექმნამ, ასევე ორგანიზმში შეყვანის ახალმა მეთოდებმა (ელექტროფორეზი, ულტრაფონოფორეზი, ინჰალაცია და სხვ.) მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენების სფერო. „კამელინის“ იმუნომოდულირებელი თვისების გამოვლენამ მოგვცა მისი ეფექტურობის მექანიზმის ახსნა არსებითად განსხვავებული დაავადებებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ პათოგენეზში ადგილი აქვს იმუნოპათოლოგიურ ფაქტორებს. პრეპარატის უნარი, დაარეგულიროს ორგანიზმის რედოქსსისტემა ძალზე მნიშვნელოვანია პათოგენების ტოქსიკურობის ნეიტრალიზაციასა და ადაპტოგენურობის გამოვლენაში.

— ბატონო კობა, ახლახან ფარმაცევტულ ბაზარზე გამოჩნდა „კამელინფლუ“ — სპრეი, რომელიც გამოიყენება პირის ღრუს ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

— 29 ნოემბერს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა „კამელინის“ მეხუთე ფორმის „კამელინფლუს“ პრეზენტაცია, სადაც „კამელინფლუს“ გამოყენებასა და ეფექტურობაზე პირის ღრუსა და ყელის ინფექციური დაავადებების ფარინგიტი, ლარინგიტი, სტომატიტი, წყლულოვანი გინგივიტი და სხვ. მოხსენება გააკეთა საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა მარინა შიხაშვილმა. მან ხაზგასმით აღნიშნა „კამელინფლუს“ გამოყენებისას გამოხატული კლინიკური ეფექტები და ეპითელიზაციის ვადების დაჩქარება „კამელინფლუ“ სპრეის გამოყენებით, გვერდითი მოვლენების გარეშე. „კამელინფლუს“ გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, ასევე ანტიმიკრობული და ანტივირუსული მოქმედება. მისი გამოყენება დაგვაზოგვინებს დროს და ხარჯებს ზემოთ ხსენებული დაავადებების მკურნალობისას.

— ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მიმდინარეობდა პრეპარატ „კამელინზე“ კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევები ცნობილ მეცნიერთა და ექიმთა ჯგუფის მხარდაჭერით, სადაც მტკიცდებოდა „კამელინის“ ანტისიმსივნური მოქმედება, დღესაც მრავალი ონკოპაციენტი იტარებს კამელინოთერაპიას, როგორია „კამელინის“ მოქმედება სიმსივნურ დაავადებასთან მიმართებაში?

— „კამელინის“ მოქმედება ინდივიდუალურია, იგი უპირობოდ აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს, დადებითად მოქმედებს დაავადების მიმდინარეობაზე, პრეპარატი გამოიყენება როგორც კომპლექსურ თერაპიაში, ასევე დამოუკიდებლად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ორგანიზმის იმუნური პასუხის ოპტიმიზაცია. კვლევების საფუძველზე და პრაქტიკიდანაც უმძიმეს პაციენტებში კამელინოთერაპიით მეტწილად ხდება სიმსივნური პროცესების შეჩერება, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება და შრომისუნარიანობის საგრძნობი მატება, ბათუმში გამართულ კონფერენციაზე ბათუმის ონკოლოგიური კლინიკის ონკოლოგმა მემედ ჯინჭარაძემ გააკეთა მოხსენება „კამელინის“ კლინიკური კვლევების შედეგებზე ონკოდაავადებებთან მიმართებაში. მან აღნიშნა, რომ „კამელინ მ 1“-ის და „კამელინ მ 2“-ის გამოყენებამ უმძიმეს პაციენტებში (სხვადასხვა სიმსივნეების მე-4 სტადია) საგრძნობლად გააუმჯობესა პაციენტების სიცოცხლის ხარისხი და ზოგადი მდგომარეობა, შეუმცირდათ, ზოგიერთ მათგანს კი საერთოდ მოეხსნა ნარკოტიკული საშუალებები, მოემატათ მადა და ენერგია, მოეხსნათ დეპრესიული ფონი, რამდენიმე პაციენტში დაფიქსირდა მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი. ბატონმა მემედმა ხაზგასმით აღნიშნა „კამელინის“ მაღალი ეფექტი ონკოპაციენტებში. კლინიკური კვლევები ბათუმის ონკოკლინიკაში დღესაც გრძელდება. ახლახან კომპანიამ მიიღო პიატიგორსკიდან აკადემიკოს ვიაჩესლავ მაკაევის მადლობის წერილი თანდართული დიაგნოსტიკური კვლევებით, სადაც ნაჩვენებია თუ როგორ განიკურნა იგი „კამელინის“ (ინიექციის და კაფსულების) გამოყენებით ხორხის სიმსივნისგან. საბედნიეროდ, ასეთი პაციენტი ბევრია.

— ბატონო კობა, საქართველოში არც ერთ პრეპარატს არ გაუვლია ისეთი დონის სამეცნიერო-კლინიკური კვლევები, როგორიც „კამელინს“ ხვდა წილად.

— კომპანიის წინსვლას დაემატა ისიც, რომ გამომცემლობა "World Scientifik"-ის მიერ გამოცემულ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო წიგნში დაბეჭდილია ესპანეთის სიმპოზიუმზე წარმოდგენილი სტატია „კამელინზე“ სათაურით – "Evalution of in vitro and in vivo antibacterial and antifungal activity of "Camelin-M". ახლახან კი ქართული სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალის „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“ იანვრის ნომერი მხოლოდ პრეპარატ „კამელინს“ დაეთმო. ეს მასალები დაეხმარება სტუდენტებს, მკვლევარებს, მეცნიერებს, ექიმებს, რომლებიც დაინტერესდებიან პრეპარატ „კამელინით“.

— დაბოლოს, ვისაუბროთ „კამელინის“ გამოყენებაზე პროფილაქტიკური მიზნით.

— აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხანგრძლივი იმუნოდეფიციტი ორგანიზმში ზრდის მრავალი დაავადების რისკს, აქედან გამომდინარე კი იმუნომოდულატორის ჩართვა პროფილაქტიკური მიზნით თავიდან აგვაცილებს ამის საფრთხეს. საქართველოში „კამელინის“ იმუნომამოდულირებელი თვისება კლინიკური კვლევების საფუძველზე (ტუბერკულოზის, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიების და სტომატოლოგიური დაავადებების დროს) შეისწავლა თსსუ-ის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის იმუნორეაბილიტაციის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ბორის კორსანტიამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა კამელინოთერაპიის მაღალი თერაპიული ეფექტი და უპირატესობა სხვა ტრადიციულ მკურნალობასთან მიმართებაში. აღნიშნული კვლევებით კიდევ ერთხელ დადასტურდა პრეპარატის უძლიერესი იმუნომამოდულირებელი ეფექტი. ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი „კამელინ მ1“ ინიექცია, „კამელინ მ2“ კაფსულა, „კამელინ მ3“ მალამო, „კამელინ მ4“ სანთლები და „კამელინფლუ“ გამოიყენება — სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული დაავადებების და სხვა დაავადებების დროს“.

მოამზადა მაია ცომაიამ

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33 www. camelyn.ge

კამელინი
CAMELYN